

რესპონდენტებზე დატვირთვის შემცირების პოლიტიკა საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ე“ პუნქტის შესაბამისად, მიზნად ისახავს რესპონდენტებზე დატვირთვის შემცირებას და ადგენს:

1. სტატისტიკური მონაცემების შეგროვება რესპონდენტებისგან განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ხარისხიანი სტატისტიკური ინფორმაციის მოსაპოვებლად არ არის ხელმისაწვდომი ადმინისტრაციული ან მონაცემთა სხვა წყაროები.
2. სტატისტიკური მაჩვენებლების წარმოებისა და მათი ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, გაფართოვდეს ადმინისტრაციული და მონაცემთა სხვა წყაროების გამოყენება.
3. გამოკვლევის მომზადების პროცესში სტატისტიკური კითხვარების შედგენისას, ჩატარდეს კონსულტაციები რესპონდენტებთან სტატისტიკური ანგარიშების მომავალი ტვირთის შესაფასებლად.
4. უზრუნველყოფილი იქნეს მცირე საწარმოების მონაწილეობა სტატისტიკური გამოკვლევების შედეგების დაგვარად ნაკლებ რაოდენობაში.
5. უზრუნველყოფილი იქნეს რესპონდენტების მიერ სტატისტიკური მონაცემების მომზადებისა და სტატისტიკური კითხვარების შევსებისთვის საჭირო საშუალო დროის ოპტიმიზება.
6. უზრუნველყოფილი იქნეს რესპონდენტების ინფორმირება გამოსაქვეყნებული სტატისტიკური ინფორმაციისა და მისი გამოყენების შესაძლებლობების შესახებ.